ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ № 270 (17010) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ 1977

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

მეცხოველეობის განვითარებას — პარტიული ზრუნვა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წლის დამდეგს გამოქვეყნებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილმა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებს შორის.

ეს საპროგრამო დოკუმენტი საფუძვლად დაედო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას 1977 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ბრძოლაში.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების იმ ორგანიზაციულ ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელების დადასტურება, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან გამომდინარეობს, აყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი ხორცის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის ზრდის საკითხზე, რომელიც რესპუბლიკის ყველა გაზეთში გამოქვეყნდა.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დაბადების გადიდებისათვის გაწეული მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა პრაქტიკული საქმეებით გამოიხატა. საზოგადოებრივ მეურნეობებში გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება. გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხისა და ფორ-კამეჩის, ღორის, ფრინველის, კერძოდ მოკვლეულის სულადობა. შეძენილდა ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის გაწყდომა. მიღებულია მეტი ხბო, ბატი და გოჭი. გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის სამუშაოლო ჩასაბარებელი ზონა. განუხრელად მატულობს ხორცის, რძისა და კვერცხის დაბადების მოცულობა. უმჯობესდება სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ორგანიზებულად მიმდინარეობს საკვების დამზადება 1977-78 წლის ზამთრის პეროდისათვის საჭირო მარაგის შესაქმნელად.

რესპუბლიკაში მიზანმიმართული მუშაობა წარმოებს იმისათვის, რომ სრულად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდის შესაძლებლობანი, რაც მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სტაბილური წყარო უნდა გახდეს.

ამასთან დაკავშირებით 1977 წლის თებერვალ-მარტში მიღებულ იქნა რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების ორი დიდმნიშვნელოვანი დადგენილება პირად დამხმარე მეურნეობებში ხორცის წარმოების ზრდის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებათა განსაკთრებული და განსახორციელებლად თერჯოლოვი რაიონის კოლმეურნეობებმა და თეთრი წყაროს რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა, შემდეგ კი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონმა გამოიჩინეს ინიციატივა დახმარებოდნენ მოსახლეობის მეურნეობების საკვებითა და სხვა საჭირო მატერიალური საშუალებებით.

მეურნეობებმა ამოქმედეს ხორცის რესურსების გადიდების რეზერვები და მკაცრი კონტროლი დაუწესეს წონანაკლული ღორის რეალიზაციას. შეზოლდეს ნეზვების დაწუნება და დაკლა. 54 მეურნეობაში აღდგა ან იქმნება მეღორეობის ფერმები.

მაგრამ 1173 კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან, სამეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოდან მეღორეობის ფერმა აქვს სულ 632-ს. ნახევარ მეურნეობებსაც კი არა აქვთ მეღორეობის ფერმები ადიგენის, ქარელის, ასპინძის, გორდაბნის, დმანისის, ხაშურის, ბორჯომის, საჩხერის. ზუგდიდის, ვანის, ცხინვალის, გეგეჭკორის და სხვა რაიონებში, ტყიბულის საქალაქო საბჭოს ზონის მეურნეობებში, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში.

ყოველად არადამაკმაყოფილებელი ტემპით სრულდება მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობისათვის გოჭების მიყიდვის დავალება. ჯერ კიდევ ვრის წონანაკლული ღორის ჩაბარების ფაქტები.

ხორცის რესურსების ზრდის არსებითი წყაროა პირუტყვის ზელმძიერი დაკლის შემთხვევების შემცირება. ამიტომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ პირუტყვის ოსფუძელო შიდასამეურნეო დაკლისადმი კონტროლის გაძლიერებას. ეს საკითხი არაერთგზის განუხილავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, ბიუროს სხდომებზე. ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად მთლიანად რესპუბლიკაში შემცირდა პირუტყვის შიდასამეურნეო დაკლა. მაგრამ შიდასამეურნეო დაკლის მასშტაბი ჯერ კიდევ დიდია და წონანაკლული პირუტყვის კლების შედეგად გამოწვეულმა დანაკარგებმა 9 თვეში დაახლოებით 4 ათასი ტონა ხორცი შეადგინა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პარტიის რაიკომები (საქალაქო კომიტეტები) სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავენ იმისათვის, რომ აამაღლონ მეცხოველეობაში დასაქმებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისა მუშების საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა. ამისათვის იყენებენ ყველა საშუალებას: სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას წარმოების ეფექტიანობის, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას პრესაში და რადიო-ტელევიზიით, სწავლების მრავალფეროვან ფორმებს.

ამასთანავე მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური ზრუნველყოფისათვის მუშაობა ყველგან როდი დგას სათანადო დონეზე. პარტიის მთელ რიგ რაიკომებში (საქალაქო კომიტეტებში) სუსტად არის დაყენებული მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ორგანიზაცია და კონტროლი, ეშვიათი არ არის შემთხვევები, როცა დავალებებს არ აკონტროლებენ მუშაკებს.

სწორედ ამიტომ არის, რომ დამაკმაყოფილებლად არა გვაქვს სილოსის დამზადებისა და ბალახის თხვნილის წარმოების საქმე. მაგ სილოსი მიღებულია 25 ათასი ტონით ნაკლები 1976 წლის დონესთან შედარებით, ხოლო ბალახის თხვნილი წარმოებულია თითქმის 1,2 ათასი ტონით ნაკლები.

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 74 პროცენტით — შესყიდულია 99,8 ათასი ტონა ხორცი, მაშინ როდესაც გეგმა-დავალება 135 ათას ტონას ითვალისწინებდა. ასე რომ, წლევანდელი მაჩვენებელი 1,7 ათასი ტონით ჩამორჩება შარშანდელ დონეს. მნიშვნელოვანი შემცირება დაუშვეს ხაშურის (85 პროცენტი) ასპის (99 პროცენტი), თიანეთის (30 პროცენტი), ლაგოდეხის (85 პროცენტი), დუშეთის (54 პროცენტი) ყაზბეგის (39 პროცენტი), სამტრედიის (39 პროცენტი), ჩოხატაურის (86 პროცენტი), ონის (77 პროცენტი) რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (84 პროცენტი) მეურნეობებმა.

ძლიერ ჩამორჩენა შარშანდელ დონეს მატყლის სახელმწიფო შესყიდვა: საგეგმო 5,2 ათასი ტონის ნაცვლად შესყიდულია მხოლოდ 4,5 ათასი ტონა, ანუ 86 პროცენტი, რაც 14 პროცენტით ნაკლებია შარშანდელ დონეთან შედარებით. მატყლის დაბადების მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩენიან: ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ქარელის, სიღნაღის, წითელწყაროს, ოქტომბრის, მარნეულის, თიანეთის, ყაზბეგის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონები.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ინტენსიური ხელმეძეობა და ზღვრული ჩასაბარებელი წონის შესახებ სადირექტივო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებათა შესრულების სუსტი ორგანიზაციის შედეგად მთელ რიგ რაიონებში გრძელდება უკონდიციო და წონანაკლული პირუტყვის ჩაბარება. მარტო ამ მიზეზით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის მეურნეობას დაეკარგა 1200 ათას მანეთზე მეტი, ხოლო 158 ტონა მაღვა პირუტყვი არ ჩაითვალა შესყიდვის გეგმის შესრულებაში.

ამის გამო, რომ ძალზე ხშირად იღებს დადგენილებებს მეცხოველეობის საკითხებზე (22 — 1976 წელს და 1977 წლის 8 თვეში), საქართველოს კომპარტიის ასპის რაიკომი ვეღარ აღწევს მათი შესრულების პოლომდე მიყვანის საქმეს. თუმცა უკვე წელიწად-ნახევარი გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ შესრულებულა რაიკომის გადაწყვეტილება მეცხვარეობის შემდგომი განვითარების, სამეურეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებისა და სხვა საკითხებზე. წელზე მეტია უმოქმედოდ არის საკვებსაწარგებლები სოფლების ნოსტეს, ზემო ხანდაკის კოლმეურნეობებში და კოდისწყაროს საბჭოთა მეურნეობაში, მოუხედავად იმისა, რომ პარტიის რაიკომის პიროს გადაწყვეტილებით „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებას დავალებული ჰქონდა აღმოეფხვრა უფსიკრობანი. არ შესრულებულა ადრეთვე გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ სოფელ ხიდელის კოლმეურნეობასა და ოკამის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი იყო ბბორების გამოსაზრდელი სპეციალიზებული ფერმები, 500 სარემონტო ყუნძლის გამოსაზრდელი ფერმები. ხოლო სოფელ სამთავისის კოლმეურნეობას — უზრუნველყო 2000. სულ. ეხლერის ინტენსიური სუქება. ადგილზევის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის პირველად პარტორგანიზაციაში. სადაც მეცხოველეობაში დასაქმებულია კომუნისტთა 14 პროცენტი — მეტი, ვიდრე საშუალოდ რაიონში, — ორი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ განიხილეს მეცხოველეობასთან დაკავშირებული საკითხი. ამასთან პარტიის რაიკომის 22 დადგენილებიდან არ განუხილავთ არც ერთი.

ზოგიერთ პარტიულ კომიტეტს ყურადღებიდან გამორჩა მეცხოველეობის ადგილს შორის პარტიული ფენის როლი და მისი აღძლიერების მნიშვნელობა. და არათუ არ ზრუნავს სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში კომუნისტთა რიგების ზრდისათვის, არამედ მათი რიცხვის შემცირებასაც კი ეიროგდება. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონში 1975-1977 წლების მანძილზე პარტიაში მიიღეს მხოლოდ სამი მეცხოველეობის მუშაკი — კოლმეურნე და ორი სპეციალისტი, ხოლო მეცხოველი კომუნისტთა საერთო რიცხვი 86-დან 67-მდე შემცირდა.

ანიშნებს რა დიდ მნიშვნელობას მეცხოველეობის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო კომიტეტებს, რაიკომებს (საქალაქო კომიტეტებს), აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, სამეურნეო-საბჭოთა ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობათა, ინტეგრირებულ ფერმათა, ინტეგრირებულ ფერმათა ასოციაციათა, ინტეგრირებულ ფერმათა ასოციაციათა, ინტეგრირებულ ფერმათა ასოციაცი

განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „საბჭოთა საზოგადოების კოლიტიკური სისტემის განვითარების საკითხების“ გამოსვლის გამო

სსრ კავშირში აშენებული განვითარებული სოციალიზმი დინამიკური საზოგადოებაა. დიდი ცვლილებები მიმდინარეობს მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში, ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობაში, ადამიანთა ცხოვრების წესში, მათი კეთილდღეობისა და კულტურის ღონეში. ჩვენი განვითარების დინამიკურობა, უწყვეტობა, გეგმაზომიერება სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობანია. სოციალიზმის ამ უპირატესობების, მისი დაუშრეტელი შესაძლებლობების რეალიზაცია ხდება სსრ კავშირში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის, მისი ყველა ელემენტის — საბჭოების, მშრომელთა მასობრივი გაერთიანებების, მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი ბირთვის — კომუნისტთა ლენინური პარტიის საქმიანობის მეოხებით.

„სოციალისტური მშენებლობის ექვსი ათეული წელი, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“, — იმის უაღრესად მკაფიო დემონსტრაციაა, თუ რა ძალუძთ მშრომელ ადამიანებს, რომლებმაც საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელობა აიღეს ხელთ და ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს. ამ ათეულმა წლებმა დაადასტურა, რომ სოციალიზმისაკენ ერთადერთი გზა იყო და არის მშრომელთა ძალაუფლება, სოციალისტური სახელმწიფოებრიობა“.

ამ თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელი 10-15 წლის ისტორიულ გამოცდილებას. თვით ცხოვრების მიერ წამოჭრილი და მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძველზე თეორიულად გააზრებული განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის შემდგომი სრულყოფის პრობლემები, მათი გადაწყვეტისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობის პროცესი და შედეგები, ახალი თეორიული დასკვნები და მითითებანი პარტიისა და ხალხის პრაქტიკული საქმიანობისათვის — ყოველივე ეს ირიბად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვების, გამოსვლების, სტატიებისა და მოსაზრებების კრებულში*. ამ წიგნის გამოსვლა, რომელიც მოიცავს პერიოდს 1964 წლის ნოემბრიდან 1977 წლის ოქტომბრამდე, დიდი მოვლენაა პარტიისა და ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

I.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელი საქმიანობა გამსჭვალულია შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულებით, მის მეცნიერულ პრინციპებზე დაყრდნობით, პრაქტიკის, მასების ისტორიული შემოქმედების შედეგად წამოჭრილი ახალი პრობლემების დაყენებისა და გადაწყვეტისადმი გაბედული, ნოატორული მიდგომით. ეს თვისებები მთლიანად გამოვლინდა პარტიის მიერ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების საკითხების გადაჭრაშიც, რასაც დამაჯერებლად ოწმობს წიგნის შინაარსი.

საზოგადოებრივი განვითარების რნასული მასშტაბისა და მნიშვნელობის, ეგზომრიტად ისტორიული პრობლემების გადაწყვეტისა, რომლებიც ჩვენს წინაშეგას მომწიფებული სოციალიზმის ტაპზე, საჭიროა მთელი საბჭოა ხალხის ენერგიისა და ნებისოფის მობილიზაცია, სოციალისტური დემოკრატიის განუწყვეელი სრულყოფა, მასების მაალი ორგანიზებულობა. კომუზმისაკენ მიმავალი საზოგადოეას ხელმძღვანელობის ამოცანა არის, ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, „რომ მაქსიმალურად მოვავლენოთ მასში ჩაქსოფილი ადამიანური ნიჭიერებანი და ნაბარზომიერი განვითარებისაკის. რა არის ამ ამოცანის გადაეტის გასალები? ეს გასალეა საზოგადოების პოლიტიკური სტემის სწორი ფუნქციონირე- და უწინარეს ყოვლისა კომისტური პარტიის მთელი მრალფეროვანი საქმიანობა, რომეაც საფუძვლად უდევს მეცნიების მონაცემები და დიდი პრაიკული გამოცდილება“ (გვ. 161). ამ სისტემის ძირითადი რგოლია ბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც ცრი განსაცდელის ყამს დაამიცა თავისი ურყეობა და ცხოებისეული ძალა. იგი შეიქმნა გორც პროლეტარიატის დიქტურის სახელმწიფო და ჩვენს ოგადოებაში მომხდარი ღრმა ციალურ-ეკონომიკური გარდაების შედეგად საერთო-სახალ- სახელმწიფო გახდა. იგი ხაგადოების ყველა ფენის ინტერსებს გამოხატავს, მთელი ხალ- ის კეთილდღეობისათვის იღვწ ეკონომიკის ზრდას, მეცრებისა და კულტურის პროსს. მიღწეულია საბჭოთა ხალ-ის, ყველა მისი ფენის ხოლურ-პოლიტიკური და იდეუ-

* ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა ოგადოების პოლიტიკური სისტ- ის განვითარების საკითხები, ...ოკოვი, პოლიტგამომცემლობა, 77 წ. 488 გვ.

ზერვებს, მშრომელი მასების აღმშენებლობითი მშენებლობის ახალ წყაროებს, დაჩქარდება კომუნიზმისაკენ ჩვენი საზოგადოების წინსვლა.

II.

მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების განვითარების და მის წინაშე მდგომი ამოცანების კომპლექსური ხასიათი თავს იჩენს მისი პოლიტიკური ორგანიზაციის სფეროშიც, მისი სრულყოფის პრობლემებს მიეკუთვნება. განა შესაძლებელია, მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო ფუნქცია განვიხილოთ ცალკე პარტიის მიერ ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებისაგან ან ამ ფუნქციის განხორციელებისაგან ისეთი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მიერ, როგორიც არიან კოლმეურნეობები, და კოოპერატივები, პროფკავშირები და მშრომელების სხვა მასობრივი ორგანიზაციები. შრომითი კოლექტივები! ასეთ „სტრუქტურულ გართულებას“ კი თან ერთვის კიდევ „ფუნქციური“: იგივე სამეურნეო ფუნქცია განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე სწორად ვერ განხორციელდება, თუ მოვწყვეტეთ სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაჭრა.

ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს ღირსეულად შევაფასოთ მეცნიერული სიღრმე და შნაარსის კონკრეტულობა წიგნში ჩამოყალიბებული დებულებებისა, რომლებიც საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ცალკეულ ფუნქციებსა და ელემენტებს შეეხება. მაგალითად, როცა განიხილავს სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების პრობლემებს თანამედროვე ეტაპზე — წარმოების ეფექტიანობისა და მეცნიერების მოხსენებებში, ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, „ეს ... ...

19 ნოემბერი სარაკეტო ჯარების და არტილერიის დღეა

მუდამ სადარაჯოზე



ეს დღესასწაული 1944 წელს დაწესდა როგორც არტილერიის დღე. — დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა არტილერისტების საბრძოლო დამსახურებათა აღსანიშნავად, ოთხრა საკავშირო ჯარების საჰაერო დაცვის შტაბის უფროსმა არტილერიის გენერალ-ლეიტენანტმა ი. ა. ანდერსენმა. დღესასწაულად გამოცხადდა სტალინგრადის მისადგომებთან საბჭოთა ჯარების გრანდიოზული იერიშის დაწყების დღე.

1964 წლიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ბრძანებულების შესაბამისად იგი გადაიქცა სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღედ. ამით აისახა ის უზარმაზარი გარდაქმნები, რომლებიც ომის შემდეგ მოხდა ჩვენს შეიარაღებულ ძალებში, ანრეთვე სარაკეტო ჯარების როლი საბჭოთა სახელმწიფოსა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

იმის წყალობით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ლ. ი ბრეჟნევი დღენიადაგ ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძალების განმტკიცებისათვის. უკანასკნელ წლებში გაიზარდა ჯარების ტექნიკური აღჭურვა, ახალ საფეხურზე ავიდა მათი ორგანიზაციული სტრუქტურა, უფრო სრულყოფილი გახდა პირადი შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდის მეთოდები.

ახლა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებს აქვთ მძლავრი რაკეტები, მართვის ავტომატიზებული საშუალებები და კარგად დაცული საშახტო გასაშვები დანადგარები. ისინი მუდამ მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ ყოველ აგრესორს.

სარაკეტო ჯარების უზარმაზარ შესაძლებლობებს, თანამედროვე ომში მათ როლს სრულიადაც არ შეუმცირებია სხვა სახეობათა შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა. საბჭოთა სამხედრო თეორია და პრაქტიკა ითვალისწინებენ, რომ თანამედროვე ომში გამარჯვება შეიძლება მხოლოდ ყველა სახეობის შეიარაღებული ძალებისა და გვარეობათა ჯარების ერთობლივი ღონისძიებებით. ამიტომ დღენიადაგ ვითარდება ომის წარმოების სხვა საშუალებები, კერძოდ, ლულიანი და რეაქტიული არტილერია. შეიქმნა ტანკების წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი საკეცხლი საშუალება — ტანკსაწინააღმდეგო მართული რეაქტიული ყუმბარები, რომლებსაც შეუძლიათ პირველი გასროლისთანავე მოსპონ სამიზნეები დიდ მანძილზე.

რაკეტულ-ატომური იარაღით აღჭურვილია სხვა სახეობათა შეიარაღებული ძალებიც. საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ არმიისა და ფლოტის შეიარაღება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა ყოველწლიურად იზრდება.

არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების გადამწყვეტი თაქმოორია საბჭოთა მეომრები, რომლებიც თავდადებით ცხოვრობენან პარტიასა და ხალხს. ისინი ღირსეულად განაგრძობენ ყოფილ საბჭოთა მეომრების საბრძოლო ტრადიციებს, რომლებიც იარაღით ხელში იცავდნენ ოქტომბრის დიად მონაპოვრებს.

საკმარისია თქვას, რომ სარაკეტო ჯარებში ოფიცრების 60 პროცენტზე მეტს აქვს საინჟინრო მომზადება, მათი 90 პროცენტზე მეტი კლასის სპეციალისტია.

თვისებრივად შეიცვალა სერჟანტთა და რიგით ჯარისკაცთა შემადგენლობა. ახალგაზრდა მეომრების 70 პროცენტზე მეტს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მათ მოკლე ვადებში დაეუფლონ რთულ საბრძოლო ტექნიკას, მარკვევ იმოქმედონ წვრთნის და სასწავლო მეცადინეობის დროს. სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მაგალითს ვეიჩვენებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი — სარაკეტო ნაწილის პირადი შემადგენლობა, რომელსაც სულ ახლახან პოდპოლკოვნიკი ა. კრიჟკო მეთაურობდა.

ეკვებებიან რა თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს, სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის მეომრები აღთქმამენ კომუნისტურ პარტიას, რომ კიდევ თავისი ხალხის გმირულ მიღწევათა ღირსი იქნებიან. ისევე როგორც ყველა საბჭოთა მეომარი, ისინი მზად არიან ნებისმიერ წუთს ვამანდგურებელი პასუხი გასცენ ყოველ აგრესორს, რომელიც გაბედავს და დაარღვევს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

№ 295 — 1977 წლის 19 ნოემბერი — ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზეშტიდებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო თავდაცვის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

ამხანაგო არტილერიისა და სარაკეტო ჯარების ვეტერანებო!

დღეს ჩვენი ქვეყანა და მისი შეიარაღებული ძალები ზეიმობენ სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს.

წელს მერაკეტეებისა და არტილერისტების დღესასწაული აღინიშნება საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის უფიდესი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსსაწაულოებით.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სანინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ და მრავალმხრივ საქმიანობას, მტკიცედ აბორეგიულებენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წარმატებით იბრძვიან მეათე ხუთწლეულის დავალებათა შესრულებისათვის, ამრავლებენ საბჭოთის ეკონომიკურ და თავდაცვის ძალიერებას.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის საღარაჯოზე დგანან თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობის ირგული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები. მათს მონოლითურ მწყობრში საბრძოლო ვახტზე ფეხზლობენ სარაკეტო ჯარები და არტილერია. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვის მეოხებით ისინი აღჭურვილი არიან ყველა სახეობის თანამედროვე ტექნიკითა და იარაღით, ჰყავთ ადეკვატურად გამოწრთობილი, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული მაღალკვალიფიციური კადრები.

მერაკეტეები და არტილერისტები მთელ საბჭოთა მეომრებთან ერთად დაუცხრომლად სრულყოფენ თავიანთ პოლიტიკურ და სამხედრო ცოდნას, ეუფლებიან მხედრული ოსტატობის მწვერვალებს, რთულ საბრძოლო ტექნიკას, თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ ოქტომბრის სამშობლოს, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის საიმედო უშიშროების ოზრუნველყოფაში.

მოგვილოცავთ და მოგიოლოცავთ დღესასწაულს — სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს!

სარაკეტო და საარტილერიო ნაწილების პირად შემადგენლობას ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებაში, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში.

თავდაცვითი მრეწველობის მუშაკებს ვუსურვებ ახალ შრომითს მიღწევებს თანამედროვე სარაკეტო და საარტილერიო ტექნიკის სრულყოფაში.

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებს:**

დღეს, 19 ნოემბერს, 21 საათზე ადგილობრივი დროით მოწყოს ფეიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს, მათს სარაკეტო ჯარებსა და არტილერიას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.

პირველი ჭურვით

არტილერისტები ტაქტიკურ მეცადინეობაზე

არტილერისტები ტაქტიკურ მეცადინეობაზე არიან. აქ ყველაფერი ისეა, როგორც ომში. ერთადერთი პირობითობა მოწინააღმდეგეა. მაგრამ საეცხლე ამოცანების გადაწყვეტის სირთულე არ იცვლება იმის გამო, რომ ცეცხლის დამენა სამიზნეებისათვის უხდებათ.

...სერჟანტ ილგუჯა ქობულაძის საეცხლე ჯგუფეულის ნომრებმა ის-ის იყო საწვეარს ქვეშეზე მოხსნეს, რომ ბრძანება მიიღეს: „მარჯვნივ „მოწინააღმდეგის“ „ტანკებია“.

გაისმა სერჟანტის მოკლე ბრძანება, და მებრძოლებმა ქვემეზებს მიაშურეს. გავიდა რამდენიმე წამი და სერჟანტმა იგორ ნიკიტინმა ზუსტად ამოიღო მიზანში „ტანკის“ სილუეტი, რომელიც ადგილ გამოკრთოდა.

— ტანკს! ჯავშანგამტანი ჭურვი... ფუგასური ამფეთქი... სრული მუტი... ცეცხლი! — გასცა ბრძანება ქობულაძემ.

ორივენი ყველაფერი შეზანზარდა, ხოლო როცა მტვერი გადაკრიფა, შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად დაინახავდით; ჭურვი მანქანას პირდაპირ შუაგულში მოხვედროდა.

ამ ტაქტიკურ მეცადინეობაზე სერჟანტ ილგუჯა ქობულაძის ჯგუფეულმა სხვა სასწავლო ამოცანებიც წარმატებით შეასრულა. სამიზნეების უბრალესობა პირველი გასროლისთანავე მოსპო. (საქინფორმი).

ბაკლესი

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის:

ინდოეთის ოკეანე — მშვიდობის ზონა

ნიუ-იორკი. 18 ნოემბერი. (საკადესი). გენერალური ასამბლეის პირველი კომიტეტი შუადგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდოეთის ოკეანის საკითხის სპეციალური კომიტეტის მოხსენების განხილვას. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მიაღწიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ დეკლარაციის სრული მოცულობით განხორციელებას, რომელიც ეხება ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გამოცხადებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა კმაყოფილებით აღნიშნავენ სსრ კავშირის პოზიციას ამ საკითხში, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ინდოეთის ოკეანის რაიონში არ უნდა იყოს უცხოეთის სამხედრო ბაზები, იქ შექმნილი ბაზები უნდა მოისპოს, ახალი კი არ უნდა შეიქმნას. „რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას არც უფიქრია და არც აპირებს ინდოეთის ოკეანეში სამხედრო ბაზების აშენებას“, — ხაზგასმულია გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხებზე საბჭოთა კავშირის მემორანდუმში, რომელიც მან წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და რომელიც მოიწონეს არა მარტო ინდოეთის ოკეანის ზონის სახელმწიფოებმა, არამედ მთლიანად საერთაშორისო გაერთიანებებმაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებში მიაჩნიათ, რომ ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევისა და ამ რეგიონში სამხედრო აქტივობის შემცირების მორიგების მიღწევის გზაზე მთავარი დაბრკოლებაა აქ შექმნილი იმპერიალისტური სამხედრო ბაზების წყება. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, მარტო შარშან ოკეანის ცენტრალურ ნაწილში დიეგო-გარსიას კუნძულზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზის გაფართოებისათვის 154 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

ისრაელი თავს იკავებს

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკადესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია ახლო აღმოსავლეთის რაიონში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ. რეზოლუციას ხმა მისცა 117 ქვეყანამ, მათ შორის სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა.**

პირველმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო საერთაშორისო გაერთიანების მზარდი მისწრაფება ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ და შეშფოთება გამოთქვა იქ ატომური იარაღის გავრცელების შესაძლებლობის გამო. კომიტეტმა მტკიცედ მოუწოდა ამ რეგიონის ყველა ქვეყანას შეუერთდნენ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ და თავი შეიკავონ მისი წარმოებისა ან შეძენისაგან.

კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა მხოლოდ ისრაელის წარმომადგენელმა, რომელმაც ამით კვლავ ცხადყო, რომ ტელ-ავივის მმართველი წრეები დაინტერესებული არ არიან მშვიდობის განმტკიცებით, პირიქით, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა გაართულონ მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო ახლო აღმოსავლეთში.

უცხოეთის კრესიდან

ისრაელი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეაფერხოს მშვიდობიანი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, სამხრეთ ლიბანში. ასეთ პოლიტიკას მხარს უჭერენ ლიბანის კონსერვატიული ძალები, რომლებიც ქვეყნის სამხრეთში მდგომარეობის სტაბილიზაციის ყველა წინადადებას უარყოფენ. (გაზეთიდან).

ნახატი ყოველკვირეულ „ჰორიზონტიდან“ (გდრ).

ბოკლედ

ყოველდღე ესროდნენ

ხმა მისცეს რეზოლუციას

● **ნიუ-იორკი.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეოთხე კომიტეტმა ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც კვლავ ადასტურებს ბელიზის — ცენტრალურ ამერიკაში დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი კოლონიური სამფლობელოს ხალხის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის განუყოფელ უფლებას. ამ რეზოლუციას ხმა მისცა 115 ქვეყანამ, მათ შორის სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა.

აირჩიეს თავმჯდომარედ

● **პარიზი.** რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანების დეპუტატი ლუარის დეპარტამენტისაგან ლუსიენ ნეიჟირტი არჩეულია საფრანგეთის ეროვნული კრების საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარედ. არჩევნები გაიმართა კონსტიტუციურ საბჭოში ლეი ოუსის გადასვლასთან დაკავშირებით.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

● **ლაგოსი.** ტექნოლოგიის დაცვის, დანერგვისა და განვითარების აფრიკის ცენტრის შექმნის შეთანხმებას ხელი მოაწერა აფრიკის 12 ქვეყანამ ნიგერიის ქალაქ კადუნაში.

დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა ა. ადედეჯიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რეგიონული ცენტრის შექმნა ახალ იმპულსს მისცემს ტექნიკურ პროგრესს კონტინენტზე.

ბუენოს-აირესი ნიუ-ჰეივენში

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკადესი). „ს. კარილიოს საქალაქო ეფინანსიმდგომარეობა მთელი მსოფლიოს კომუნისტთა პოლიტიკასა და კლასობრივ ტაქტიკას. გაფიცვა, გაფიცვა და შტრაიკებიერი — შტრაიკებიერი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ -არის იგი“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა.

ეს განცხადება ჯ. ჰოლმა იმასთან დაკავშირებით გააკეთა, რომ ამჟამად შეერთებულ შტატებში მყოფმა ესპანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ს. კარილიომ უარი თქვა დაეტოვებინა ნიუ-ჰეივენის (160 კილომეტრზე ნიუ-იორკიდან) იელის უნივერსიტეტის გაფიცულ მუშაკთა თხოვნა და მათი რჩევის მიუხედავად, ლექცია წაიკითხა ამ უნივერსიტეტში, სადაც ახლა გაფიცულია მომსახურე პერსონალის 1400 მუშაკი. უნივერსიტეტში გამოსვლის წინ პროფკავშირმა ს. კარილიოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სთხოვდა, პატივი ეცა გაფიცულთაგენის და არ გადასულიყო პიკეტების ხაზს. ამ გაფიცულს თაობაზე შეატყობინა მას დეპეშით ვეს ჰოლმაც. მაგრამ ს. კარილიომ არად ჩაგდო პროფკავშირის თხოვნა და პასუხიც კი არ აღირსა მას დეპეშაზე. თუმცა უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ მოღვაწეობისგან რამდენიმეს უარი თქვა გაფიცვის გამო ჩამოსულიყო ნიუ-ჰეივენში.

გაფიცულთა პროფკავშირთა თავმჯდომარემ თქვა, რომ ს. კარილიოს ასეთი საქციელი მმრომელთა დაბაღული საგაფიცვო ბრძოლის მომენტში „უღირსი აქტიაო“.

„გაფიცულთა პიკეტის ხაზი, — ნათქვამია გუს ჰოლის განცხადებაში, — ეს არის მუშათა კლასისა და მონოპოლიების გამყოფი ხაზი, მეცარხელფასიანი მუშაკებისა და მილიონერების პატრონი იელის უნივერსიტეტის კორპორაციის გამყოფი ხაზი. არ შეიძლება ლაპარაკობდე მუშების მხარდაჭერაზე და ამავე დროს არად აგდებდე გაფიცულთა პიკეტის ხაზს“.

ძველ პოგიციებზე

ვენა, 17 ნოემბერი. (საკადესი). აქ გრძელდება მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ. დასავლეთის მხარის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ დღევანდელ პლენარულ სხდომაზე გამოვიდა ბელგიის დელეგაციის მეთაური ლ. სმოლდერენი. როგორც წარმომადგენლის გამონთქვამებიდან ჩანს, ეს გამოსვლა არ შეიცავდა ახალს არაფერს, რაც ხელს შეუწყობდა ევნის დიალოგის კონსტრუქციულ მიმდინარეობას. უფრო მეტიც, მან კვლავ სცადა საქმე ისე წარმოესახა, თითქოს მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევლობა სოციალისტური ქვეყნების „ჯიუტი“ პოზიციის ბრალი იყოს.

მონაწილის შთაბეჭდილებები

ფერთა ელვარება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ ულამაზეს და უძველეს ქალაქ ერფურტში ამჟამად ბევრი უცხოელი სტუმარი ჩადის — ამ პატარა ქალაქში მოწყობილია გამოფენა „ერფურტი. იგა — 77“, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

შემთხვევითი როდია, რომ წელს სწორედ ერფურტში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების დეკორატიული მებაღეობა-მეყვავილეობის, მეხილეობის, მებოსტნეობისა და სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების საერთაშორისო საუბილეო გამოფენა.

ქალაქი ერფურტი ცნობილია გერმანელი ხალხის ისტორიული და კულტურული ტრადიციებით, ბუნებრივი მშვენიერებით, განვითარებული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებით, ლანდშაფტური შებაღეობისა და მეყვავილეობის მაღალი, დახვეწილი ხელოვნებით. იგი მთლიანად მწვანეშია ჩაფლული.

გამოფენაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირი, რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი და თვით მასპინძელი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

„ერფურტი. იგა-77“ გადაჭიმულია თითქმის 100 ჰექტარ ფართობზე, სადაც ყურადღებას იპყრობს ლამაზად ნაგები არქიტექტურული ბაგილიონები, ხეივნები, მადრეკენები. გამოფენის ტერიტორია გაფორმებულია დიდი გემოვნებით შესრულებული ყვავილოვანი ხალიჩით, რომელიც ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ინარჩუნებს დეკორატიულობას.

